ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 1 სექტემბერი, 2021 №162 (8691) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

„გორის მე-10 ბალის დირექტორმა ჩემს შვილს სცემა“

დირექტორი ბრალდებას უარყოფს

350 ევროდ ფაიზერით აცრის ყალბი საბუთი დაამზადეს

სუსმა 7 პირი დააკავა

გვ.5

„კალაძე თავისი გუნდით შეუერთდება გახარიას. გახარია კი საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს“

გვ.2

შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილმა ტირანის სახელი იმიტომ მიიკრა, რომ ის რეფორმები, რაც ჩასატარებელი და რაც მტკივნეული იყო, გატარდა“

„კობახიძე ქვეყნის 30 წლის მონაპოვარს მაარხევს. გენეტიკურად ეზრძვის“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „მთელი ჯანდაცვის სისტემა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გამდიდრებას ემსახურება“

კორნელი კაკაჩია: გახარია არ წვავს ხიდებს ივანიშვილთან და „ოცნებას“ ესეც აშინებს“

გვ.3

„ევროკავშირის დახმარებაზე უარის თქმა სიბეცეა“

„ოცნებამ“ შანტაჟი, დაშინება და გაყალბება არჩევნების წინ კუბში აიყვანა“

გვ.4

გოგი წულაია: „გაუგებარია, რატომ არ უშვებენ ციხიდან იმ პატიმრებს, რომლებსაც ვადამდე გათავისუფლება ეკუთვნით“

ISSN 1987-9385

2 გიგი უგულავა: „დავრეგისტრირდები თუ არა, რეფერენდუმი ფოთში აუცილებლად შედგება“

4 ევროკავშირის ოფისი: „მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები“

5 რატი ბრეგაძე: „ციხეებში ინფიცირების შანსი ნულამდეა დაყვანილი“

6 სამხრეთ აფრიკაში კორონავირუსის ახალი ვარიანტი აღმოაჩინეს

„კალაძე თავისი გუნდით შეუერთდება გახარიას. გახარია კი საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს“

შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილმა ტირანის სახელი იმიტომ მიიკრა, რომ ის რეფორმები, რაც ჩასატარებელი და რაც მტკივნეული იყო, გატარდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, უმძიმესი პანდემიური სიტუაციაა ქვეყანაში. ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ თვალსაზრისით ურთულესი მდგომარეობაა, არ არის გამორიცხული, სიტუაცია უმართავიც გახდესო. თქვენ ყოველდღიური შეხება გაქვთ ამ დაწესებულებებთან, პატიმრებთან, რა ხდება შიგნით? იქაც მძვინვარებს ვირუსი? მალავს შემთხვევებს სასჯელაღსრულებაო, ასეა?

– საჯაროდ არ აცხადებენ და დამალვაა, აბა რა არის. ფაქტია, რომ ციხეებში გავრცელებულია კორონა. მათ შორის რამდენიმე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებსაც დაუდასტურდა. არაერთხელ მივმართე სასჯელაღსრულებას, რომ ამ ხალხს ესაუბრა კანონით დადგენილი შეღავათებით, კოვიდის გადატანის შემდეგ არც თუ სახარბიელო ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვთ, თუმცა უარი მივიღეთ. როგორც სხვა სტრუქტურებში, აქაც შერჩევითი მართლმსაჯულებაა. საპროცესო შეთანხმება შერჩევით, ბრასლეტი შერჩევით, შეწყალება შერჩევით, უდო შერჩევით და განაჩენი შერჩევით. აი ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ.

– აცრები მიმდინარეობს საპატიმროებშიო და ასეა?

– კი, აცრები მიმდინარეობს და პატიმრებს შეთავაზებული აქვთ, ვისაც რომელი ვაქცინით სურს, იმით აიცრება.

– გარდაცვალების შემთხვევები ხომ არ დაფიქსირებულა საპატიმროებში?

– მე არ გამიგია ასეთი შემთხვევა. მე ვიცი შემთხვევები, როცა კოვიდი დაემართათ და გადაიყვანეს ბადრაგის თანხლებით ღუდუშაურის კლინიკაში.

– როგორ ფიქრობთ, ამნისტიამდე მივა საქმე?

– მე საუბრის დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ რა პოლიტიკა ტარდება ამ სისტემაში, ჩემთვის გაუგებარია. მე თუ მკითხავთ, დღეს პატიმრების 80%-ისთვის შესაძლებელია გარკვეული შეღავათები. ზოგს საპროცესო გაუფორმდეს, ზოგი პირობით ადრე ვადაზე გათავისუფლდეს, ან ეს ე.წ. ბრასლეტი და იგივე შეწყალება და ამნისტია. ათასი რამის მოფიქრება შეიძლება.

– ეს მეორე უკიდურესობაში ხომ არ გადაგვაგდებს? თუკი ასე მასობრივად მოხდა პატიმრების გამოშვება, ეს კრიმინალს ხომ არ გაზრდის ქვეყანაში? ამ კუთხით ისედაც არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა.

– არა მგონია, რომ კრიმინალმა მოიმატოს. მიკერძოებას რომ არ ჰქონდეს ადგილი და სწორი მიდგომები იყოს, ისედაც უნდა მისცემოდა ამ ხალხს შეღავათები. არის იქ ისეთი კონტინგენტი, ვისაც ეს ნამდვილად ეკუთვნის. ძალიან ბევრს ეთქვა ამაზე უარი. გარწმუნებთ, მათი გამოშვება კრიმინოგენურ სიტუაციას არ გააუარესებს და ამაზე არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს. სერიოზული კრიმინალი თუ ვინმე იყო საქართველოში, ვინც ორგანიზებულ დანაშაულს ჩადიოდა და შეეძლო ამის ორგანიზება, ისინი დიდი ხანია წასულები არიან საქართველოდან. დღეს ძირითადად სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულებებია და, სამწუხაროდ, გადატენილია ციხეები ამ ოჯახური ძალადობით. ყველაზე მეტი სტატისტიკა არის ოჯახურ ძალადობაზე.

– თუ ამნისტია და შეწყალება არ იქნება, მძიმე სიტუაცია შეიქმნება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?

– ურთულესი. აქ საუბარი არის რაზე, თუ ციხეებში კოვიდი მასობრივად გავრცელდა, იმ ჩაკეტილ და სასაკნე პირობებში, სადაც რამდენიმე კვადრატულ მეტრში ათობით ადამიანია მოთავსებული, ამ ადამიანებს იქ ხომ ვერ მოუვლიან? ეს წარმოუდგენელი და შეუძლებელია.

– არის გავრცელების საფრთხე? ითქვა ისიც, რომ ამის რეალური საფრთხეა და მალავენო.

– კი, ამის ნიშნები უკვე არის. ხომ ვხედავთ, გარეთ რაც ხდება, ახალი პატიმრებიც შეყავთ. კარანტინში აჩერებენ, მაგრამ მაინც შეაღწია შიგნით ვირუსმა და თანაც კარგად მოიკიდა ფეხი. ეს პროცესი თუ გაექცათ, ჩათვალეთ, რომ ძალიან დიდი სიკვდილიანობა წავა. მით უმეტეს, ამის პრაქტიკა უკვე მთელ მსოფლიოშია, პირველად ირანმა გამოსცა ამნისტია. ასევე უკრაინამაც. მე ხომ არ ვამბობ, რომ მკვლელობაზე და მძიმე დანაშაულზე ვინც ზის, ისინი გამოუშვან. ამ კატეგორიას შესაძლოა ერთი მეოთხედი მოაკლონ. მაინც მოუწევთ ამის გაკეთება და სანამ ამერიკელი და ევროპელი მიუთითებს, მანამდე მოიფიქრონ თვითონ და გააკეთონ. უცხოეთიდან ფინანსური დახმარებისა არ იყოს, ჩვენ თვითონ ვამბობთ უარსო. რაღაზე ამბობ უარს, აღარაფერს გაძლევენ და... ხელისუფალი ხარ, გამოიჩინე გონიერება და გადადგი რა სწორი ნაბიჯები.

– გონიერებაო და ასე რატომ უჭირთ სწორი და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება? რა არის ეს, უპასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე თუ შეცდომების კასკადი?

– შესაძლოა ვიღაცას შეცდომა ჰგონია ეს ყველაფერი, მე არ მგონია შეცდომა. მიხეილ სააკაშვილმა ტირანის სახელი იმიტომ მიიკრა, რომ ის რეფორმები, რაც ჩასატარებელი იყო და რაც მტკივნეული იყო, ის გატარდა. როდესაც ასეთი რადიკალური რეფორმები ტარდება, იქ, რა თქმა უნდა, ადამიანების დიდი მასა რჩება განაწყენებული. „ოცნება“ რომ მოვიდა ხელისუფლებაში, ძირითადი მტკივნეული რეფორმა გატარებული იყო, ზოგი სწორად, ზოგიც არასწორად, თუმცა მტკივნეული ნაწილი გავლილი იყო. რა უნდა ექნა ახალ ხელისუფლებას 2012 წლიდან? ეს ყველაფერი უნდა გადაეყვანა დემოკრატიულ რელსებზე, გაეგრძელებინა რეფორმები და ქვეყანა წინ უნდა წასულიყო. თუმცა რა მოხდა? პირველი ოთხი წელი გააჩერეს ქვეყანა და შემდეგი ოთხი წელი უკან-უკან დაიწყეს სვლა. დღეს ხელისუფლება რასაც აკეთებს, ეს ჩემთვის გასაგებია, მაქსიმალურად ცდილობენ შეინარჩუნონ ძალაუფლება. ამიტომ აძლიერებენ შსს-ს, უშიშროებას და ზოგადად ძალოვან უწყებებს. საჯარო მოხელეებს ეძლევათ მითითებები, რა უნდა ქნან წინასაარჩევნოდ. მოკლედ, პროგრესულს ვერაფერს ვხედავთ. რა უბედურებაა, მესამე ვადით რატომ მოდიან?!

– დაიღალა საზოგადოება და სერიოზული მიუღებლობაა უკვე ამ ძალის მიმართო, ასეა?

– ასეა. თანაც ეს ყველაფერი დემოკრატიული მართლწესრიგის საწინააღმდეგოა. რა უფლებით არღვევ დემოკრატიულ მართლწესრიგს და მოდიხარ მესამე ვადით? კი ბატონო, შესაძლოა კარგი ხარ და გადასარევი, მაგრამ წადი ახლა და დაგვანებე თავი, ამოწურე ყველანაირი ვადა. გვაცადე ხალხს არჩევანი, ცუდს ავირჩევთ თუ კარგს, ეს ჩვენი გადასაწყვეტია და ჩვენ ვაგებთ ამაზე პასუხს, შენ კი წადი და თავი დაგვანებე. მოკლედ, კორეაში ვართ და არც გამოსდით ეს კორეობანა.

– ასე მარტივად გადააგორებენ და გაიფორმებენ ადგილობრივ არჩევნებს? როგორ ფიქრობთ, მაინც ხომ არ მოუწევთ ვადამდელი არჩევნების ჩატარება?

– წყალი არ გაუვა, რომ ვადამდელი არჩევნები იქნება. დაიმახსოვრეთ, რასაც გეტყვით და თუ გინდათ, მერე ერთად გავიხსენოთ. გახარიას სახით სერიოზული მოთამაშე შემოდის. ის ტყუილად არ წასულა თავისი ინიციატივით ხელისუფლებიდან. იცით ვინმე „ოცნებიდან“, ვინც თავისი ნებით წასულიყო ან მოსულიყო ხელისუფლებაში?! გახარიას გარდა ასეთი არავინ მახსენდება.

– კალაძეზეც ამბობენ, რომ წასასვლელად ემზადებაო.

– კალაძე დიდი ხანია თავის თამაშს თამაშობს. აქ დავასრულებ ჩემს პროგნოზს რასაც ზემოთ გეუბნეოდით, კალაძე თავის გუნდით შეუერთდება გახარიას. გახარია კი საპარლამენტო არჩევნებს მოიგებს. თუ გინდათ შეინახეთ გაზეთის ეს ნომერი, რომ ზუსტად ასე იქნება. მე რასაც ვაკვირდები, სწორედ გახარია უნდა გახდეს ამათი გასვენების ჩამტარებელი. იცით როგორი სიტუაციაა, ეს ხელისუფლება მკვდარია, მოკლა კორონამ, მაგრამ არ ჩანს კაცი, ვინც ამათ გაასვენებს. ვინც ლობიოს და შილაფლავს მოუხარშავს. აბა ის განცხადება, რაც მე დღეს ამათგან მოვისმინე, რომ დახმარება აღარ გვინდაო, თითქოს მარტო ვალის აღებაშია ამათი პრობლემა, სწორედ ამათ გარდაცვალებას ნიშნავს, სხვას კი არაფერს. ეს მარტივი განცხადება არ გეგონოთ. ზუსტად იცოდნენ, რომ ამ თანხას მათ აღარავინ მისცემდა და წინასწარ თავი დაიზღვიეს. ყვავის ჩვენი ეკონომიკა და აღარ გვინდა სხვისი ფულიო. სირცხვილია, ჩვენი ქვეყნის შემხედვარე ამ განცხადების გაკეთება. პანდემიას ვერ მართავ, ყოველდღე 80 კაცს ასვენებ, ხალხი მშიერი გიკვდება და რისი ეკონომიკა გიდუღს, სრულ ჭკუაზე ხარ ხელისუფლებავ?!

„პატიმრების 80%-ისთვის შესაძლებელია შეღავათები გაკეთდეს“

გიგი უგულავა: „დავრეგისტრირდები თუ არა, რეფერენდუმი ფოთში აუცილებლად შედგება“

მომსახურების სააგენტომ ფოთის მერობის კანდიდატს, გიგი უგულავას გადასცა დოკუმენტი, სადაც წერია, რომ მის საკითხს განიხილავს შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტი.

გიგი უგულავა აცხადებდა, რომ მას შსს-ში უარს ეუბნებიან იმ დოკუმენტაციის მიღებაზე, რომელიც აუცილებელია მეროობის კანდიდატად საოლქოში დასარეგისტრირებლად.

გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან ფოთის მერობის კანდიდატ გიგი უგულავას თქმით, ეს წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და სამართლებრივ დავას აპირებს.

– ამ დოკუმენტიდან კიდევ უფრო ნათელი გახდა ჩემთვის, რომ ამ გადაწყვეტილებას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს. აქაც წერია, რომ დოკუმენტი, რომელსაც მე ვითხოვ, რომელიც კანონით არის საჭირო, ეფუძნება ორ რაღაცას, ანუ, ამ დოკუმენტს შსს ვერ გასცემს პირზე, თუ ამ პირის მიმართ არის დანაშაული დადასტურებული სასამართლოთი, რომელიც ეხება სექსუალურ ძალადობას და ნარკოტიკულ დანაშაულს.

შესაბამისად, არც ერთი და არც მეორე არ არის. საქმე, რომელზეც ბატონები საუბრობენ, არის 126-ე მუხლი. მე რომ ძიუდოისტს ვცემე, ოღონდ ეს ძალაში არ არის შესული, შესაბამისად, ეს ვერც იქნება, მაგრამ სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება ძალაში რომც იყოს შესული, ამ კატეგორიაში ეს არ შედის. 126-ე მუხლი არის მსუბუქი მუხლი და, შესაბამისად, ვერ იქნება ამის საფუძველი და ვერ იქნება დოკუმენტის არ გაცემის საფუძველი. ამ დოკუმენტიდან კიდევ უფრო ნათლად ჩანს, რომ ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური გადაწყვეტილება და სამართალთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს.

ეს, როგორც მითხრეს, არის შუალედური, სავარაუდოდ, ხვალ რაღაც ასეთ წერილს მივიღებ, შინაარსს მოგახსენებთ, ვნახოთ, რა იქნება. ბუნებრივია, მე ამას გავასაჩივრებ საერთო სასამართლოებში და საერთოდ ამ ნორმას, რომელიც მიმაჩნია უფლების შემზღუდავ ნორმად, წავიღებ აუცილებლად ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოში.

ვის თავშიც ეს იდიოტიზმი და უკანონობა დაიბადა, იმის გასაგონად მინდა ვთქვა, დავრეგისტრირდები თუ არ დავრეგისტრირდები, რეფერენდუმი ფოთში აუცილებლად შედგება, „ქართული ოცნება“ აუცილებლად დამარცხდება. აქ დავრჩები, ზუსტად ვიმუშავებ ისე, კიდევ უფრო მეტი ენერგიით, როგორც კანდიდატი ვიქნებოდი და კიდევ უფრო გაათკეცებული ენერგიით შევუდგები იმ საქმეს, რასაც ჰქვია „ქართული ოცნების“ მმართველობიდან ამოძირკვა, რაც 2 ოქტომბერს დაიწყება, როდესაც რეფერენდუმზე გაფორმდება „ქართული ოცნების“ მარცხი, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ევროკავშირის დახმარებაზე უარის თქმა სიბეცეა“

კორნელი კაკაჩია: გახარია არ წვავს ხიდებს ივანიშვილთან და „ოცნებას“ ესეც აშინებს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველო ევროკავშირის დახმარებას აღარ მიიღებს. ეს განცხადება საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. საქმე ეხება 75 მილიონიან დახმარებას. პრემიერის მტკიცებით, ეს დახმარება არა გრანტი, არამედ ვალი იყო, მთავრობას კი ვალების შემცირება უნდა.

„რაც შეეხება მაკროფინანსურ დახმარებას, ეს არის სესხი, რომლის ნაწილიც ავიღეთ 2020 წელს და 75 მილიონი ევროს მეორე ნაწილი იყო სესხი, ეს არ იყო უბრალოდ გრანტი, რომლის თაობაზეც ალბათ მოგვიანებით ფინანსთა სამინისტრო გააკეთებს კომენტარს. წელს, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ დავიწყეთ საგარეო ვალის შემცირება, მაღალი ალბათობით, ამ თანხის მიღების აუცილებლობა აღარ იქნება“ – თქვა პრემიერმა.

ოპოზიციის განცხადებით კი, ეს ერთგვარი სანქციაა.

რა არის რეალურად – ვალზე უარის თქმა თუ სანქცია და რას მოუტანს ეს ქვეყანას? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

– ევროკავშირის დახმარებებზე ატეხილ დისკუსიასთან დაკავშირებით ხელისუფლება გვეუბნება, რომ საგარეო ვალის გაზრდა არ უნდოდათ და ამიტომ ამბობენ ევროკავშირის დახმარებაზე უარს, ოპოზიცია კი სანქციის ერთგვარ ფორმად ასახელებს. რომელს უნდა დავუჯეროთ, რომელი თარგმანია უფრო სანდო და ამ მხრივ როგორია თქვენი ანალიზი?

– არც ერთი არ არის მართალი ამ შემთხვევაში და არც მეორე. მთავრობა ცდილობს, რომ რამდენიმე კურდღელი ერთდროულად დაიჭიროს. პირველი, ის ცდილობს, რომ ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პანდემიური კრიზისის ფონზე რაღაცნაირი გამართლება მოუძებნოს ამას და, მით უმეტეს, მოახლოებული არჩევნების ფონზე. რეალურად მას ბევრი შესათავაზებელი არაფერი აქვს ქართველი ამომრჩევლისთვის და ცდილობენ, რომ რაც კი ცუდია, ყველაფერი დააბრალონ გახარიას. აქამდე „ნაციონალებს“ აბრალებდნენ, ახლა უკვე დაიწყეს თავიანთ ხელისუფლებაზე, მაგრამ იმ ხალხზე გადაბრალება, რომლებიც გავიდნენ „ქართული ოცნებიდან“.

ამ დროს ყველაზე ცუდი რაც არის, ეს არის ის, რომ ძალიან ცუდი განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მისი ეს განცხადება ძალიან ცუდი მანიშნებელია. ასეთი განცხადებები ახასიათებთ ავტორიტარულ ხელისუფლებებს ჩვენს სამეზობლოში.

– ღარიბაშვილის გუშინ გაკეთებულ განცხადებას გულისხმობთ, როდესაც ამ თემაზე ისაუბრა?

– დიახ, როდესაც ის საუბრობდა იმაზე, რომ ჩვენ არ გვჭირდება დახმარებაო. ჯერ ერთი, ამდენი ვალი გვაქვს და ევროკავშირი გაძლევს 75 მილიონს, რაზეც უარს ამბობ, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ გაქვს პრობლემა იმ პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ევროკავშირის გიყენებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში. ანუ შენ გაქვს პრობლემა დემოკრატიასთან, არჩევნებსა და იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რის გადაწყვეტასაც გთხოვს ევროკავშირი. როდესაც ხელისუფლება ასეთ ვითარებაშია, როდესაც ელემენტარულად იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც ჩვენ ვართ და ამ დროს უარს ამბობ ამ დახმარებაზე, ეს, მინიმუმ, სიბეცეა.

მეორე, ჩვენ დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის დროს ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რომ ფაქტობრივად ე. წ. სუვერენული დემოკრატიის პრინციპით იმოქმედოს. ამით ცდილობს რუსული მიდგომების კოპირებას. თავის დროზე მათაც ასე დაიწყეს, რომ აი ჩვენ არ გვინდა დასავლეთი, ჩვენ თვითონ მივხედავთ ჩვენ თავს და ა. შ. დაახლოებით ასეთი რაღაცის გაკეთებას ცდილობს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც.

მეზობლების დასახელება არ მინდა, მაგრამ ავტორიტარული მმართველობის ნიშანია ესეც. მათი მართვის პრინციპია, რომ ჩვენ გვაქვს ნავთობი, გვაქვს რაღაცა რესურსები და არ გვჭირდება ევროკავშირის დახმარებაო. იმათ ნავთობი მაინც აქვთ და ჩვენ რომ არც არაფერი გვაქვს და ამ ფონზე მაინც უარს ამბობს ევროკავშირის დახმარებაზე, ეს რას ნიშნავს, ანალიზი მკითხველისთვის მიმინდია.

– არც არაფერი გვაქვს და დახმარებაზეც უარს ვამბობთ?

– დიახ, ასე გამოდის. ეს არის განაწყენებული ბავშვის პოზიცია, რომ ევროკავშირმა შეუფუცხუნა არჩევნებთან დაკავშირებით და ამ შენიშვნების გამო გაჯიუტდა, რომ არ გვინდაო. ეს არის სერიოზული პრობლემა.

ამავე დროს ეს არის გზავნილი იმ ამომრჩევლისთვის, რომელსაც დიდად არ უნდა ევროკავშირი და, როგორც ჩანს, რომელსაც ეყრდნობა „ქართული ოცნება“. ცოტა არ იყოს, ამომრჩევლის ეს სეგმენტი კრიტიკულად არის განწყობილი ევროკავშირის და ზოგადად დემოკრატიულ სტანდარტებთან დაკავშირებით. ამ ამომრჩევლის მიზიდვას თუ შენარჩუნებას ცდილობს ხელისუფლება ამ გზავნილებით. რამდენად სწორად იქცევა საარჩევნო კამპანიის თვალსაზრისით, ამას უკვე არჩევნები გვანახებს.

– საინტერესო პასაჟი წამოწიეთ გახარიასთან მიმართებით. ასე არის უკვე „ოცნების“ თვალსაწიერში, რომ საპირწონე უკვე გიორგი გახარია გახდა და მან ჩაანაცვლა „ნაცმოძრაობა“?

– ჯერ მთლად ასე არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თუ გაგრძელდება ეს ტენდენცია... ვნახავთ, რა შედეგი დადგება არჩევნებზე და დიდწილად ამაზეა დამოკიდებული. ფაქტია, რომ ისინი ასევე ცდილობენ, რომ მათზე სწორება გააკეთონ, საიდანაც შესაძლოა მათ შეექმნათ პრობლემა. ამ შემთხვევაში გახარია უქმნით მათ პრობლემას იმ მხრივ, რომ გახარიას მიჰყავს მათი ამომრჩევლის რაღაც ნაწილი, რაც მათთვის სერიოზულ პრობლემას ქმნის. ამიტომ არიან ასე გაწიწმატებულები.

„ნაციონალურ მოძრაობას“ რომ თავისი ამომრჩეველი ჰყავს, ეს ფაქტია. ის ნაკლებად არის „ოცნების“ პირდაპირი კონკურენტი. მართალია, ისიც კი თქვეს, სულ რომ 1% მივიღოთ, მაინც არ ჩავატარებთ რიგგარეშე არჩევნებსო, მაგრამ ბუნებრივია, რომ ამას მაინც ექნება პოლიტიკური ფასი. ამიტომ, მათ შეიძლება იერიში მიიტანონ როგორც გახარიაზე, ისე სხვა პარტიებზე. მათ განსაკუთრებულად ეშინიათ ახალი ძალების, იმ ძალების, სადაც შესაძლოა გაჩნდეს მიზიდულობის ცენტრი, რომელმაც მერე გუნდის პრინციპი შეასრულოს. ანუ, პატარა გუნდა რომ დააგორო მთიდან, მერე შეიძლება დიდ ზვავად გარდაიქმნას.

ამ თვალსაზრისით აშინებთ მათ გახარია. ამასთანავე გახარია არ წვავს ხიდებს ივანიშვილთან. ასე რომ, ეს „ოცნების დღევანდელი ხელმძღვანელობისთვის“ გარკვეულ რისკებს შეიცავს.

„კობახიძე ქვეყნის 30 წლის მონაპოვარს მარხავს. გენეტიკურად ებრძვის“

დავით ჭიჭინაძე: „მთელი ჯანდაცვის სისტემა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გამდიდრებას ემსახურება“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ თავმჯდომარე, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, თქვენ რითი ხსნით „ქართული ოცნების“ უარს ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე? კალაძის განმარტებით, თუ ეს ყველაფერი 19 აპრილის შეთანხმებაზეა მიბმული, მაშინ გამოდის, პასუხისმგებლობა მთლიანად ოპოზიციას ეკისრება და არ ხელისუფლებას.

– კალაძე, კობახიძე და ღარიბაშვილი სამყაროს სხვა პრიზმიდან უყურებენ. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ქვეყანა განვითარებულია, წარმატებულია და ხალხი ბედნიერია. ადამიანები ბედნიერებისგან გარბიან და იცლება ქვეყანა.

რეალურად კი საქმე სულ სხვაგვარად არის. 19 აპრილის შეთანხმება გაყალბებული არჩევნების გამო დაიდო. სწორედ ლეგიტიმაციის გულისთვის ჩაიწერა 43%-იანი ზღვარი. „ქართულ ოცნებას“ ლეგიტიმაცია არ აქვს. მათ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ვალდებულება აიღეს, რომ ლეგიტიმაციას დაამტკიცებდნენ. როგორც უნდათ, ისე ილაპარაკონ. ფაქტი ერთია, ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ. საკმაოდ დაშორებულები არიან იმ მოცემულობას, რომელიც 2012 წელს იყო, გნებავთ 2016 წელს. მათ მიმართ ხალხში ზიზღია. მხოლოდ მოსყიდვითა და სიძულვილის ენით უნდათ ფონს გასვლა, მაგრამ ეს ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

„ქართული ოცნება“ სხვის ბოროტებაზე ლაპარაკობს, რაშიც საკუთარ ბოროტებას მალავს. არც ერთი წარმატებული რეფორმის დასახელება არ შეუძლიათ. ერთადერთი, რაზეც ხალხი ლაპარაკობდა, ჯანდაცვა იყო, რაც დიდი მითი აღმოჩნდა. მთელი ჯანდაცვის სისტემა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გამდიდრებას ემსახურება. მთელი მედპერსონალი გაუბედურებულია და სამათხოვრო ხელფასზე მუშაობს.

– ირაკლი კობახიძის არგუმენტით, ეკონომიკური ზრდაა ქვეყანაში, ერთი მილიარდი ლარის აკუმულირება შევძელითო.

– ნამდვილად ასეა, მაგრამ არა ქვეყნის მასშტაბით, არამედ ივანიშვილის გარემოცვაში. რა თქმა უნდა, მათ გარემოცვაში ეკონომიკური ზრდაა. 2018 წელთან შედარებით მათი ქონება გაიზარდა. 7 მილიარდი დახმარება, რომელიც მივიღეთ, მოიპარეს. როდესაც 7 მილიარდს მოიპარავ, იქ 75 მილიონი რაღა მოსაპარია.

მე ჯერ კიდევ როდის ვამბობდი, რომ ირაკლი კობახიძე „ქართული ოცნების“ მესაფლავე იქნებოდა. მთელი ეს პერიოდი გადამალული ჰყავდათ, მაგრამ როგორც კი გამოჩნდა, ისეთი განცხადება გააკეთა, რომ არათუ „ქართულ ოცნებას“, ქვეყანას გამოუთხარა ძირი. ამ 30 წლის მონაპოვარს მარხავს. გენეტიკურად ებრძვიან ამ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

როგორც ჩანს, კობახიძე პოლიტიკაში ხალხის დასათრგუნად, ხალხის რწმენის გასატეხად მოვიდა. შეუძლებელია ამას ხალხმა წაუყრუოს და პასუხი არ გასცეს. ესენი ამ ყველაფერზე პასუხს 2 ოქტომბერს მიიღებენ.

– ეს ნიშნავს ევროკავშირის 75 მილიონიან დახმარებაზე უარს თუ უფრო მეტს?

– რასაკვირველია, ეს ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე მიკროფინანსური დახმარებაა. ამით პირდაპირი ნიშანი მოგვცეს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მზად არის ევროკავშირს აქციოს ზურგი ყველაფრის ფასად. კობახიძემ, ღარიბაშვილმა, ივანიშვილმა, როგორც ჩანს, ისეთი ნაბიჯი გადადგეს, რაც ამ ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კონსტიტუციით არის ამ ქვეყნის დასავლური კურსი განსაზღვრული. ევროკავშირისა და ნატოს წევრობა ამ ქვეყანას კონსტიტუციით აქვს გარანტირებული და მასზე უარს ვერ გვათქმევინებს ვერც კობახიძე და ვერც ივანიშვილი, რაც არ უნდა ქნან. კონსტიტუციის ფარგლებს გარეთ გადიან. ხელისუფლებას, რომელიც კონსტიტუციიდან გადის, მას აღარ აქვს არანაირი ლეგიტიმაცია და მასთან ბრძოლა ყველა დასაშვები მეთოდით მისაღებია.

– პირიქით ამბობენ, რომ ოპოზიციას ეს არჩევნები წაგებული აქვს. არც ერთი ბილბორდი არ აქვთ, წაგებულ ბრძოლაში ფულს არ ხარჯავენო.

– კიდევ ამბობენ, რომ ოპოზიცია 3 ოქტომბრისთვის ემზადება. 3 ოქტომბერი იქნება

თარიღი, როდესაც „ქართული ოცნება“ ყველანაირ ლეგიტიმაციას დაკარგავს თავისივე განცხადებებით. ძალიან ბევრი განცხადება იქნება კიდევ, რომელიც ამ ქვეყნის 30-წლიან ბრძოლას ხაზს გადაუსვამს.

– რას გულისხმობთ?

– ეს ხალხი იმიტომ არ მოსულა, რომ ამ ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს. თვითონ ივანიშვილის მონები არიან და უნდათ ქვეყანაც ასე დაამონონ და მუხლებზე დააყენონ. გასაოგნებელი განცხადებები კიდევ წინ არის. როდესაც ქართველი ხალხის ინტერესებს უთხრეს უარი, მაშინ უთხრეს ევროკავშირს უარი. ამ ქვეყნის საზოგადოებისა და ევროკავშირის ინტერესები ყოველთვის თანხვედრაში იყო. ცივილიზებული სამყაროსკენ სწრაფვა ჩვენი ერის შინაგანი მოთხოვნილებაა, რაზეც მათ უარი თქვეს. დადგა დრო, რომ ამას ევროკავშირმა და ქართველმა ხალხმა ერთობლივად გასცეს პასუხი.

პარლამენტის თანამშრომელთა 70%-მდე უკვე აცრილია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ მოსახლეობას ვაქცინაციისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა და აღნიშნა, რომ პარლამენტის თანამშრომელთა 70%-მდე უკვე აცრილია.

ამასთან, კუჭავამ ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ექიმებს მადლობა გადაუხადა.

– კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, დაიცვას რეკომენდაციები, ასევე მოვუწოდოთ ვაქცინაციისკენ, რომელიც უმიშვნელოვანესია. პარლამენტის თანამშრომელთა 70%-მდე უკვე აცრილია, რაც კარგი შედეგია, თუმცა პროცესი მიმდინარეობს.

მე არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ჩვენს გმირ ექიმებს, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე აგვისტო და ივლისი გადაიტანეს. გავამხნევოთ ისინი და ყველას კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ, დაიცვან რეკომენდაციები. ასევე, მაქსიმალურად მოვუწოდოთ ყველას ვაქცინაციისკენ, რაც ერთადერთი გზაა, რათა პანდემია საბოლოოდ დავძლიოთ, – განაცხადა კახა კუჭავამ.

„ოცნებამ“ შანტაჟი, დაშინება და გაყალბება არჩევნების წინ კუბში აიყვანა“

გოგი წულაია: „გაუგებარია, რატომ არ უშვებენ ციხიდან იმ პატიმრებს, რომლებსაც ვადამდე გათავისუფლება ეკუთვნით“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკოსმა და ყოფილმა დეპუტატმა გოგი წულაიამ პარტია „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ დააფუძნა. მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ გოგი წულაიას ესაუბრა.

– ახალი პარტია ჩამოაყალიბეთ. არჩევნებში მონაწილეობთ?

– არჩევნებში ვმონაწილეობთ. ვაკეთებთ იმას, რის შესაძლებლობასაც მწირი ფინანსები გვაძლევს. სიებს წარვადგენთ სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და ქალაქში. პირადად მე ქუთაისის პარტიულ სიაში ვარ.

– პანდემიას თუ არ ჩავთვლით, რით განსხვავდება ახლანდელი წინასაარჩევნო კამპანია წინა კამპანიებისგან?

– მეთოდები იგივეა, რომელსაც სხვადასხვა ხელისუფლება ყოველთვის იყენებდა. ამომრჩევლის დაშინება, შანტაჟი, მოსყიდვა და გაყალბება შევარდნაძის დროსაც იყო. სააკაშვილმა ეს ყველაფერი კვადრატში გადაიყვანა. „ოცნებამ“ შანტაჟი, დაშინება და გაყალბება არჩევნების წინ კუბში აიყვანა. წინებიც ცუდად იქცეოდნენ, ყოველი მომდევნო ხელისუფლება მდგომარეობას აუარესებდა. საარჩევნო უსამართლობაც საშინელებაა, მაგრამ ამაზე უარესიც ხდება ქვეყანაში. ავიღოთ პატიმრების მდგომარეობა.

– ციხეებში კოვიდ-19-ის აფეთქებაზე საუბრობთ?

– არა მარტო კორონაზე. მოგეხსენებათ, თვენახევრის წინ გამოვედი ციხიდან. იქ ვნახე ბევრი პატიმარი, რომელთაც კანონით ეკუთვნით ვადამდე გათავისუფლება – უდო. რატომღაც ციხიდან არ უშვებენ. თქვე ოჯახაშენებულებო, რატომ არ უშვებთ ამ ხალხს? სხვა რომ არაფერი, ვის ხარჯზე კვებავთ? ამდენი ბავშვი შიმშილობს საქართველოში! პატიმარს მაწონი კვირაში ერთხელ მაინც აქვს, ზოგ ბავშვს მაწონიც ენატრება და თევზის გემო არ გაუგია. გამოუშვით ეს ხალხი გარეთ! მით უმეტეს, პანდემია გაჩნდა ციხეებში.

– თქვენ გარდა, პატიმრების ვადამდე გათავისუფლებას, ასევე ამნისტიის ახალ აქტს სხვებიც მოითხოვენ. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა. სახალხო დამცველი პანდემიის გაჩენისთანავე გამოდიოდა ამ მოთხოვნით. როგორ გგონიათ, ხელისუფლება ყურად იღებს ყველას მოთხოვნებს?

– ხელისუფლება თუ რამეს გააკეთებს ამ მიმართულებით, მხოლოდ საკუთარი სახელით. ამნისტიას დრო უნდა. არჩევნებამდე ვერ მოესწრება. ვადამდე გათავისუფლება შესაძლებელია. უფრო მგონია, რომ ხელისუფლება პატიმრებს ახლა დაპირებებს მისცემს.

– ციხეები დაკეტილი დაწესებულებებია. როგორ გავრცელდა იქ კორონავირუსი?

– 4 თვე ვიჯექი. ადვოკატსაც მინიდან ველაპარაკებოდი და ოჯახის წევრებსაც. ისინი ვირუსს ვერ გაავრცელებენ. გაქვს კონტაქტი სხვა პატიმრებთან და თანამშრომლებთან. უნდა გითხრათ, რომ ამგვარი დაწესებულებების თანამშრომლებს თავისი გასაჭირი აქვთ. მათი შრომის პირობები და გრაფიკი მძიმეა.

– ეპიდემია, სავარაუდოდ, ამ პერსონალიდან გავრცელდა?

– ალბათ. ამ ადამიანებს უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა. პანდემია ციხეებში ხელისუფლების ბრალია. ხელისუფლებას უნდა გაეკონტროლებინა, რომ ეს არ მომხდარიყო. ეპიდემიაც რომ არ იყოს, მსუბუქი დანაშაულის ჩამდენებს, ვისაც მოხდილი აქვს სასჯელის გარკვეული ვადა, კანონით ეკუთვნით გათავისუფლება. გაუგებარია, რატომ არ უშვებენ მათ ციხიდან. ზოგიერთი მათგანი „კალიასკით“ გადაადგილდება. რა უნდა დააშავონ მათ გარეთ? რატომ არ ასრულებს კანონს ხელისუფლება? რატომ გაავსეს ციხეები? ეს ვერ გამიგია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოდის, მაგრამ ჩვენ ამ საკითხებზე გვიწევს საუბარი. იმედია, თვითმმართველობის პრობლემებისთვისაც მოვიცლით პოლიტიკოსები.

ევროკავშირის ოფისი: „მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები“

– ევროკავშირის დახმარება კვლავ დამოკიდებული იქნება ძირითადი რეფორმების განხორციელებისას მიღწეულ წინსვლაზე.

ამის შესახებ ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისში გამართულ ბრიფინგზე, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა, ჟულიენ კრამპმა განაცხადა.

ამასთან, მან ევროკავშირის სახელით მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები.

– ევროკავშირი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეასრულოს რეფორმებთან დაკავშირებული ვალდებულებები, მათ შორის მართლმსაჯულების სფეროში საქართველოს მოქალაქეების ინტერესების შესაბამისად და ევროკავშირი–საქართველოს სამომავლო ურთიერთობებისთვის. ევროკავშირი გააგრძელებს სიტუაციაზე ყურადღებით დაკვირვებას.

ევროკავშირი ხაზგასმით აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ის კვლავ სრულად მზადაა მხარი დაუჭიროს საქართველოს რეფორმებს, ევროკავშირი-საქართველოს დახმარების შესაბამისად, ევროკავშირის დახმარება კვლავ დამოკიდებული იქნება ძირითადი რეფორმების განხორციელებისას მიღწეულ წინსვლაზე, – აღინიშნა ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

სკოლები 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე დისტანციურად იმუშავებენ

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო პროცესი სკოლებში 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე დისტანციურ რეჟიმში განახლდება

– სასწავლო პროცესი სკოლებში 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე დისტანციურ რეჟიმში განახლდება. ანალოგიური რეგულაცია გავრცელდება უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებზე, – განაცხადა უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებული ოპერაციული შტაბის უფროსმა გიორგი ღიბრაძემ.

მისი თქმით, 4 ოქტომბრამდე შეზღუდული დარჩება სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობა.

– სასწავლო პროცესი სკოლებში 15 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე დისტანციურ რეჟიმში განახლდება, ანალოგიური რეგულაცია გავრცელდება უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებზე. 4 ოქტომბრამდე შეზღუდული დარჩება სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაობა და ეს ეხება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ბაღებსაც.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ეპიდემიოლოგიური ვითარების სტაბილიზაციის ტენდენციის მიუხედავად, კვლავ აქტიურად გამოიყენონ პირბადე როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეებში, დაიცვან სოციალური დისტანცია და აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, – განაცხადა გიორგი ღიბრაძემ.

თამარ გაბუნია: „ბავშვების ვაქცინაციის გარეშე რთული იქნება, შევქმნათ სრული იმუნური ფენა საზოგადოებაში“

– ყველას გვესმის, რომ ბავშვების ვაქცინაციის გარეშე ძალიან რთული იქნება დავძლიოთ და შევქმნათ სრული იმუნური ფენა საზოგადოებაში, თუმცა ჩვენი განწყობა მაინც არის ისეთი, რომ დაველოდოთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ თამარ გაბუნიამ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ ჩვილებში ინფექციის პრევენციის საუკეთესო საშუალება დედის აცრა, ანუ ორსულის ვაქცინაციაა.

– კიდევ ერთხელ მინდა ორსულების ვაქცინაციის მნიშვნელობაზე გავაკეთო აქცენტი, დღეს საკმარისი მზაობა და საკმარისი მეცნიერული მტკიცებულებები არსებობს იმის შესახებ, რომ ფაიზერის ვაქცინა ორსულებში არის უსაფრთხო და ამდენად, დროს ნუ დაკარგავენ, რაც შეიძლება სწრაფად აიცრან. ასევე ოჯახის წევრების ვაქცინაციაც არის ერთ-ერთი გამოსავალი ახალშობილებში ინფექციის პრევენციის. იყო რამდენიმე მძიმე შემთხვევა, იცით ზოგიერთი გარდაცვალებით დასრულდა, გუშინაც იყო 1 გარდაცვალების შემთხვევა. ძალიან სამწუხაროა, ოჯახს მინდა მივუსამძიმრო.

რაც შეეხება ბავშვების ვაქცინაციას, ყველას გვესმის, რომ ბავშვების ვაქცინაციის გარეშე ძალიან რთული იქნება, დავძლიოთ და შევქმნათ სრული იმუნური ფენა საზოგადოებაში, ჯერ მიდის მსჯელობა სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვების ვაქცინაციასთან დაკავშირებით, ჩვენი განწყობა მაინც არის ისეთი, რომ დაველოდოთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს. დღევანდელ სიტუაციაში ერთეული შემთხვევების ვაქცინაცია ექსპერტების ჯგუფის გადაწყვეტილებით ხდება. იყო ერთეული შემთხვევა 12-დან 16 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც საქართველოში ავცერით, რადგან მოზარდს ჰქონდა თანმხლები მძიმე დაავადება და ამდენად ოჯახმაც და ექიმებმაც მიიღეს გადაწყვეტილება. მაგრამ მასობრივი ვაქცინაციის შესახებ გადაწყვეტილებას მივიღებთ მას შემდეგ, რაც მეტად მკაფიო იქნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პოზიცია, – განაცხადა გაბუნიამ.

პირბადის მაჩვენებელი 47%-მდე ჩამოვიდა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ქვეყანაში პირბადის ტარების მაჩვენებელი 50%-დან 47%-მდე ჩამოვიდა.

გამყრელიძე ყველას პირბადის ტარებისა და აცრის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

ამასთან, როგორც მან განმარტა, აგვისტოში 700.000 აცრა გაკეთდა. მისივე თქმით, თუ სექტემბერში მილიონამდე აცრა გაკეთდება, მაშინ ეპიდვითარება კიდევ უფრო სწრაფად გამოსწორდება.

– სამწუხაროდ, პირბადის ტარების მაჩვენებელი 50%-ზე დაბლა, 47%-ზე ჩამოვიდა. არადა, ეს მთავარია. ერთი კვირის წინ გვქონდა 50%-იანი მაჩვენებელი და ეს როგორღაც უნდა ავწიოთ 70, 75, 85%-მდე. ხომ არაფერია, ყველამ ვთქვათ, რომ მოდი, სამი თვე ყველგან ვატაროთ პირბადე. თუ ამ მაჩვენებელს 95%-ზე ავიყვანთ, დარწმუნებული იყავით, ეპიდემია უფრო მალე შეკავდება. ვიცი, დღევანდელ გადაწყვეტილებაზე მედიაში ბევრი კრიტიკა იქნება, რომ კიდევ ორი კვირით შეჩერდება ტრანსპორტი, მაგრამ ახლა რომ ეპიდსიტუაციის ოდნავ გაუმჯობესება გვაქვს, აქ ლომის წილი სწორედ მობილობის დაცემაა.

ამავე დროს, რა თქმა უნდა, უფრო სერიოზულად არის აღსრულების მონიტორინგი, ილუქება დაწესებულებები, სადაც დიდი შეკრებებია. ჯარიმდებიან დაწესებულებები, რომლებიც ამ დიდ ქორწილებს აწყობენ და ა.შ. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, რომ კიდევ ორი კვირის განმავლობაში დავიცვათ წესები, რათა ეპიდსიტუაციის გარკვეულ კონდიციამდე მივიდეთ.

ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ნაკლები ადამიანი დაიღუპოს. ყველამ აქტიურად ვატაროთ პირბადე და სექტემბერში არ დავაგდოთ აცრების ტემპი, – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

ბადრი ჯაფარიძე: „ქართველი ხალხი ისჯება იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არის უპირო მხარე“

ქართველი ხალხი ისჯება იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არის უპირო მხარე, – ასე ეხმაურება პარტია „ლელოს“ გენერალური მდივანი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ბადრი ჯაფარიძე საქართველოს მიერ ევროკავშირისგან ფინანსური ტრანშის ვერ მიღებას.

მისი განცხადებით ევროკავშირი, რომელიც არის საქართველოს უერთგულესი პარტნიორი, უარს ამბობს ტრანშის გადმორიცხვაზე იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

„ეს არ არის მხოლოდ 300 მლნ ლარის ზიანი, რაც ქვეყანამ მიიღო. ეს არის გარესამყაროსგან სიგნალი, რომ ამ ქვეყანაში რაღაც ცუდი ხდება. ევროკავშირი, რომელიც არის ჩვენი უერთგულესი პარტნიორი, უარს ამბობს ტრანშის გადმორიცხვაზე იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას სასამართლო რეფორმის კუთხით, დემარშით პასუხობს მიშელის მედიაციით მიღწეულ შეთანხმებას.

ეს არის მთავრობა, რომელმაც სიტყვას დააკარგვინა ფასი.

ის, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა, არის ხალხის ინტერესების პირდაპირი ღალატი. 2 ოქტომბერს ჩვენი ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ“ – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

ipn.ge

იმერეთის პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს ახალი უფროსი ჰყავს. ამ პოსტზე ზაზა ცხაკაია დაინიშნა, რომელიც მანამდე სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ეს თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, სულხან თამაზაშვილმა პოსტი დატოვა და იმავე თანამდებობაზე თბილისის სამმართველოში გადაინაცვლა.

ყაზბეგში, მყინვარწვერზე ზვავი ჩამოწვა

გუშინ, 31 აგვისტოს, ყაზბეგში, მყინვარწვერზე ყინულის ფერდი ჩამოიშალა. შემთხვევა იმ ადგილზე მოხდა, სადაც მთამსვლელების ჯგუფი გადაადგილდებოდა.

შემთხვევის შედეგად, 5 მთამსვლელი ზვავმა მოიყოლა, მათგან 2 უვნებლად ამოიყვანეს, 3 კი სხვადასხვა სახის მოტეხილობით საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაშავებულები პოლონეთის და უკრაინის მოქალაქეები არიან.

5 დაშავებული ტურისტიდან ახლა ყაზბეგის სამედიცინო ცენტრში მხოლოდ 1 უკრაინელი ტურისტი იმყოფება.

ექიმის ინფორმაციით, სამედიცინო ცენტრში შეყვანისთანავე მას აღენიშნებოდა ასფიქსია, ახლა კი მას მარჯვენა ხელის მოტეხილობა აწუხებს და ამ ეტაპზე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

– ზვავი ზღვის დონიდან დაახლოებით 4.700 მეტრის სიმაღლეზე ჩამოწვა. მე მეგობრებთან ერთად ვიყავი, რომლებმაც ამომიყვანეს. ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, – განაცხადა დაშავებულმა მარიანა ოვალენკომ „კურიერთან“ საუბრისას.

სართიჭალაში ტრაილერი ტოიოტას შეასკდა

არის მსხვერპლი

გუშინ, 31 აგვისტოს, საზარელი ავარია მოხდა სართიჭალაში – ერთმანეთს ტრაილერი და „ტოიოტას“ მარკის მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ.

ავარიას მსხვერპლი მოჰყვა, არიან დაშავებულებიც.

ადგილზე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა იყო მობილიზებული, რომელმაც დაშავებულებს პირველადი დახმარება გაუწია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 276 მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ხანძარი რუსთავში

გუშინ, 31 აგვისტოს, რუსთავში, მეგობრობის გამზირზე ხანძარი იყო.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ცეცხლი 5 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სხვენში გაჩნდა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო სამსახურის 3 ეკიპაჟი.

შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა.

რატი ბრეგაძე: „ციხეებში ინფიცირების შანსი ნულამდეა დაყვანილი“

– პენიტენციურ დაწესებულებაში ინფიცირების შანსი, პრაქტიკულად, ნულამდეა დაყვანილი, რათა დაცული იყვნენ როგორც იქ მყოფი პატიმრები, ასევე ჩვენი თანამშრომლები.

ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგაძემ „ქრონიკაში“ ჩართვისას განაცხადა.

მისი თქმით, პენიტენციურ სისტემაში კორონავირუსით ინფიცირების 96 აქტიური შემთხვევაა გამოვლენილი, რაც პატიმრების სრული რაოდენობის მხოლოდ 1%-ია.

ბრეგაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულთაგან 90% საკარანტინო სივრცეებიდან არიან. მინისტრის განმარტებით, ისინი ციხეებში ახალი შეყვანილი იყვნენ და კორონავირუსი მათ დაკვირვების დროს გამოუვლინდათ. ამჟამად ყველა კოვიდინფიცირებული პაციენტი მკურნალობის კურსს პენიტენციურის გარეთ, სამედიცინო დაწესებულებებში გადის და მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

– ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, კორონავირუსის ინფექცია არ გავრცელებულიყო. საბედნიეროდ, ინფიცირებულია პატიმართა მხოლოდ 1% და ინფექცია არ გავრცელებულა, როგორც ამას ამბობდნენ გარკვეული ძალები, თითქოს ეს მასობრივად ვრცელდებოდა.

– რაც შეეხება იმ ღონისძიებებს, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ, რათა ინფექცია არ გავრცელდეს, მიმდინარეობს პატიმართა გეგმური ტესტირება, კერძოდ, თვეში ორჯერ ხდება მათი ტესტირება პისიარის მეთოდით, რომელიც, მოგეხსენებათ, პრაქტიკულად უტყუარია. ასევე, ის თანამშრომლები, რომლებიც ციხეებში იმყოფებიან, ესენი არიან: უსაფრთხოებისა და რეჟიმის ოფიცრები, სამედიცინო პერსონალი, გარე დაცვის სამსახური, ყველა მათგანი კვირაში ერთხელ იტესტება.

მოგეხსენებათ, ისინი სამ დღეში ერთხელ მორიგეობენ და შესვლისას იტესტებიან სწრაფი ტესტირების მეთოდით. პრაქტიკულად, ინფიცირების შანსი ნულამდეა დაყვანილი, რათა დაცული იყვნენ როგორც პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრები, ასევე ჩვენი თანამშრომლები, – განაცხადა ბრეგაძემ.

„დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობები უკანონოდ შემოჰქონდათ“

საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ დიდი ოდენობით ოქროს ნაკეთობების ქვეყნის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოს მოქალაქის გ.ს.-ს მიმართ, ეჭვის საფუძველზე გატარებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შედეგად, სპეციალურად მოწყობილ რამდენიმე სამალავში, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები – საერთო წონით 300.79 გრამი გამოავლინეს.

მათი ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 31.613 ლარი შეადგინა.

„აღსანიშნავია, რომ კანონდამრღვევ მოქალაქეს ოქროს ნაკეთობები ტვირთის გადასაზიდი ურიკის სახელურებსა და ფეხსაცმლის ჩასაფენებში მალულად ჰქონდა მოთავსებული. არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები და მონეტები (საერთო წონით 216.03 გრამი), გამოვლინდა, საბაჟო გამშვებ პუნქტში – „ქუთაისის აეროპორტი“. მებაჟე ოფიცრებმა მილანი-ქუთაისის რეისით ჩამოფრენილი საქართველოს მოქალაქის ხელბარგის, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, 28.984 ლარის ღირებულების საქონელი აღმოაჩინეს. საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“ – აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს სანაპირო დაცვამ შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩაატარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი წვრთნები ჩაატარა, რომელშიც დანაყოფის 100-მდე მოსამსახურე, 3 სადარაჯო ხომალდი და 5 საპატრულო კატარღა მონაწილეობდა.

სწავლება მოიცავდა საზღვაო ტაქტიკურ მანევრებს (PASSEX) და მცურავი საშუალებების საშტატო სტაციონარული შეიარაღებიდან წყალზედა მიზნებზე სასწავლო სროლების შესრულებას.

„საზღვაო წვრთნების მიზანს მცურავი საშუალებების კოორდინირებული მუშაობის დახვეწა, შეიარაღების სისტემების ტექნიკური შეფასება და სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობის ტაქტიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესება წარმოადგენს. სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საზღვაო წვრთნებში რეგულარულად მონაწილეობს.

2021 წლის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ერთობლივი სწავლებები ჩატარდა NATO-ს წევრი ქვეყნების: ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და თურქეთის, ასევე უკრაინის ხომალდებთან. წელს სანაპირო დაცვის ხომალდებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინის ტერიტორიულ წყლებში გამართულ მრავალეროვნულ სწავლებაში SEABREEZE 2021 და ბულგარეთის ტერიტორიულ წყლებში ჩატარებულ საზღვაო სწავლებაში BREEZE 2021“ – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში კრიზისული სიტუაციების მართვის სასწავლო კურსის დახურვის ცერემონია ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL), რეგიონული უსაფრთხოების სამსახურისა (RSO) და გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) ატაშეს ოფისის ერთობლივი ორგანიზებით, კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებზე სასწავლო კურსი ჩატარდა.

სასწავლო კურსის დახურვის ღონისძიებას აშშ-ის ელჩი საქართველოში კელი დეგნანი, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე და მინისტრის მოადგილეები: ალექსანდრე დარახველიძე და გიორგი ბუთხუზი დაესწრნენ. მათ ტრენინგის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

აშშ-ის ელჩმა კრიზისული სიტუაციის მართვისა და ინციდენტებზე რეაგირების კუთხით სამართალდამცველთა გადამზადებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სასწავლო კურსის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: კრიზისის მართვისა და სამეთაურო შტაბის პრინციპები; კრიზისის ხელმძღვანელობა; უწყებათშორისი თანამშრომლობა კრიზისულ სიტუაციებში, ისტორიული და პრაქტიკული მაგალითები და სხვ.

ტრენინგს გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) მოწვეული ტრენერები – ჯეიმს ნიუტონი და ოთომ ბრაუნი უძღვებოდნენ.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ – ალექსანდრე დარახველიძემ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში ამერიკის მიერ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის.

350 ევროდ ფაიზერით აცრის ყალბი საბუთი დაამზადეს

სუსმა 7 პირი დააკავა

ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე 7 პირი დააკავეს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე 7 პირი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ აღნიშნული პირებიდან ოთხმა ბრალდებულმა, 350 ევროს სანაცვლოდ შემდგომი გამოყენებისათვის, საქართველოს მოქალაქეს დაუმზადა და გადასცა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო „ფაიზერის“ ვაქცინით აცრის დამადასტურებელი ყალბი საბუთი, ხოლო სამმა პირმა 400 ლარის სანაცვლოდ შემდგომი გამოყენებისათვის, საქართველოს მოქალაქეს დაუმზადა და გადასცა კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო „სინოფარმის“ ვაქცინით აცრის დამადასტურებელი ყალბი საბუთი, ოთხმა პირმა 216.03 გრამ ოქროს ნაკეთობებზე 31.613 ლარის ოდენობით ბაჟი გადაიხადეს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„კურიერისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ყალბი კოვიდპასპორტების დამზადება-გასაღების ფაქტზე დაკავებულ პირთა წრე შესაძლოა გაფართოვდეს და ბრალდებულის სკამზე მოხვდნენ ის ადამიანებიც, რომლებმაც ყალბი საბუთების დასამზადებლად შეკვეთა მისცეს.

მათი იდენტიფიცირება გამოძიებამ უკვე შეძლო.

„კურიერის“ ინფორმაციით, ერთ-ერთი პირი, რომელიც ესპანეთში ყალბი პასპორტების დასამზადებლად შეკვეთას აძლევდა, მანანა კვარაცხელიაა.

„გორის მე-10 ბაღის დირექტორმა ჩემს შვილს სცემა“

დირექტორი ბრალდებას უარყოფს

გორის მე-10 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელს მშობელი ძალადობაში ადანაშაულებს.

ინციდენტი კომბინატის დასახლებაში მოხდა. 13 წლის მოზარდს ამ დრომდე ეტყობა ძალადობის კვალი.

ბაღის დირექტორი სამართალდამცავებს ჯერ არ გამოუკითხავთ, რადგან სავარაუდო მსხვერპლის დედას პოლიციისთვის ჯერ არ მიუმართავს.

– გუშინ ბავშვების ჩხუბზე დაუნდობლად ეცა ჩემ შვილს, მიაყენა ფიზიკური დაზიანება, ბავშვი გამოგზავნა ტირილით. მხარზე აქვს დარტყმული, ხელით სცემა ბავშვს. მაგის ახლობელი, თუ არ ვცდები დავით დევდარიანი, მწერს, მიკავშირდება, იმუქრება, მაყენებს შეურაცხყოფას. პირველ რიგში, მინდა პასუხი აგოს თავის სიტყვებზე, – ამბობს მოზარდის დედა.

ბაღის დირექტორი ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ დავას ცილისწამების გამო აპირებს.

– მე უარვყოფ ამას, მე მყავს მოწმეები. ერთ-ერთი მოწმე ჩემთვის უცნობი ადამიანია დავით დევდარიანი, რომელიც შეესწრო ამ ყველაფერს. მე ბავშვს არც მივკარებივარ, ბავშვი 13 წლის აგრესიულმა მოზარდმა გადმოაგდო, რომელმაც არ იცის თამაში. დაზიანებები ეზოდან აქვს. ვითხოვ, საჯაროდ მომიხადოს ბოდიში ამ ცილისწამებაზე, შემაქვს სასამართლოში განცხადება, – უთხრა დირექტორმა „მთავარ არხს“.

არასრულწლოვანის დედა ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც ფაქტი სოციალურ ქსელში დაწერა, ემუქრებიან.

2021, 1 სექტემბერი, №162

ალარ კარისი ესტონეთის პრეზიდენტი გახდა

ესტონეთის პარლამენტმა მეორე მცდელობის შედეგად, ალარ კარისი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია.

ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

კარისის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 72-მა პარლამენტარმა. მის ასარჩევად 68 ხმაც საკმარისი იყო.

კარისი საპრეზიდენტო პოსტზე ერთადერთი კანდიდატურა იყო, რომელიც რეფორმებისა და ცენტრისტული პარტიების კოალიციამ წამოაყენა.

30 აგვისტოს გამართული კენჭისყრისას, მას 5 ხმა არ ეყო.

ალარ კარისი 63 წლისაა, განათლებით ბიოლოგი. მანამდე სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა, იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორი და ხელმძღვანელობდა ესტონეთის ეროვნულ მუზეუმს.

ის არასოდეს ყოფილა არც ერთი პარტიის წევრი.

ნავალნის პრეს-მდივანმა რუსეთი დატოვა

ნავალნის პრეს-მდივანმა კირა იარმიშმა რუსეთი დატოვა.

იარმიშს ე.წ. „სანიტარული საქმის“ გამო 1,5 წლით შინა პატიმრობა მიუსაჯეს. მანაც რუსეთი დატოვა და ამჟამად ფინეთშია.

სამხრეთ აფრიკაში კორონავირუსის ახალი ვარიანტი აღმოაჩინეს

სამხრეთ აფრიკელი მეცნიერები აცხადებენ, რომ კორონავირუსის ახალი ვარიანტი აღმოაჩინეს, რომელსაც მუტაციის შემაშფოთებელი რაოდენობა აქვს.

მეცნიერები თავიანთ კვლევაში აღნიშნავენ, რომ ცე.1.2. პირველად მაისში, ორ პროვინციაში დააფიქსირეს, 13 აგვისტოსთვის კი აღნიშნული ვარიანტი უკვე ქვეყნის 6 პროვინციაში, ისევე, როგორც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მავრიკიში, პორტუგალიაში, ახალ ზელანდიასა და შვეიცარიაში იყო გამოვლენილი.

კვლევის თანახმად, ცე.1.2 ვირუსის ცე.1 ვარიანტისგან წარმოიქმნა, რომელიც 2020 წლის შუა პერიოდში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დომინანტური იყო.

მეცნიერები განმარტავენ, რომ ზოგადად ვირუსის მუტაციები ასოცირდება გადადების უნარის გაზრდასთან და ანტისხეულებისგან თავის არიდების გაზრდილ უნართან.

– ამჟამად ვაფასებთ ამ ვარიანტის ზეგავლენას ანტისხეულების განეიტრალებაზე როგორც ვაქცინირებულ, ისე არავაქცინირებულ პირებში, – აცხადებენ მეცნიერები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მუშებს ხუთი წლით პატიმრობა ემუქრებათ ნიანგის მოკვლის და შეჭმისთვის

ჩინელ მუშებს, რომლებიც ინდონეზიის კუნძულ სულავეგიზე მუშაობენ, ხუთი წლით პატიმრობა ემუქრებათ ნიანგის მოკვლის და შეჭმისთვის.

ნიანგი ადგილობრივებმა დაიჭირეს. მუშებმა რეპტილიის მათთვის გადაცემა ითხოვეს. შემდეგ გაკოჭილ ცხოველს მუშის ჩაფხუტი დაახურეს, მზის სათვალეები გაუკეთეს და მასთან ფოტოსურათები გადაიღეს. ამის შემდეგ კი ნიანგი მოკლეს, კერძი მოამზადეს და შეჭამეს.

ეს ყოველივე სახელმწიფო ბუნების დამცველი სააგენტოსთვის თვითმხილველებისგან გახდა ცნობილი. მის თანამშრომლებს ცხოველის გადარჩენის იმედი ჰქონდათ, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მეტისმეტად გვიან მივიდნენ. მათ მხოლოდ რეპტილიის სისხლის კვალს და მისი ხორცისგან მომზადებული წვნიანის მცირე ნაწილს მიაგნეს.

ჩინელი მუშების მტკიცებით, მათ არ იცოდნენ, რომ ინდონეზიაში ნიანგებს კანონი იცავს. ქვეყნის ახალგაზრდობის და სპორტის ყოფილმა მინისტრმა როი სურიომ ხელისუფლებას დამნაშავეების ქვეყნიდან დეპორტაციისკენ მოუწოდა.

შვიდი წლის გოგონამ დედა დაღუპვას გადაარჩინა

შვიდი წლის გოგონამ უელსის ქალაქ კარდიფიდან დედა იმ დროს გადაარჩინა, როდესაც მას, ავტომობილის საჭესთან მჯდომს, ასთმის მწვავე შეტევა დაემართა.

37 წლის კეტრინ ჰოლიფილდი ბავშვობიდან იტანჯებოდა ასთმის უიშვიათესი ფორმით. როგორც წესი, მას დაავადების შეტევები ყოველ ორ-სამ თვეში ემართებოდა. მას წელიწადში ორჯერ უხდებოდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. მიმდინარე წლის აპრილში კი ქალმა კოვიდ-19 გადაიტანა, რამაც შეტევები კიდევ უფრო დაამძიმა.

მორიგი შეტევა კეტრინს იმ დროს დაემართა, როდესაც ის თავის შვიდი წლის გოგონა აილასთან ერთად მანქანით ქალაქ მონმუტიდან სახლში ბრუნდებოდა და სადაც მეგობრებთან ერთად კაიაკებით სეირნობდნენ.

– როდესაც წყლიდან ამოვედით, ვიგრძენი, რომ სუნთქვა ცოტათი მიჭირდა, თუმცა ეს იმას მივაწერე, რომ აქტიურად ვმოძრაობდით. სახლში წამოვედით, მაგრამ ჩემი მდგომარეობა უარესდებოდა. მივხვდი, რომ ეს ასთმის შეტევა იყო, მანქანა გზის პირას გადავაყენე და ინგალატორი ამოვიღე, – იხსენებს ჰოლიფილდი.

კეტრინმა ტელეფონით სასწრაფო დახმარების გამოძახება სცადა, მაგრამ, გასაგებად ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა და ამის გამო ოპერატორმა მისი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ შეძლო. მაშინ ტელეფონი აილამ აიღო და მშვიდად განუმარტა ოპერატორს თუ სად იმყოფებოდნენ. მან ასევე ოპერატორს უთხრა, რომ დედამისს არ ჰქონდა სიცხე და დააზუსტა, რომ მათ მანქანას სახურავზე კაიაკი ჰქონდა დამაგრებული.

ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა ის იმავე საღამოს გაწერეს სახლში და იქ გაარძელებს მკურნალობას.

ახალშეუღლებული ქორწილიდან ორ დღეში დაიღუპა

კენიაში ახალშეუღლებული მამაკაცი ქორწილიდან ორი დღის შემდეგ ავტოავარიაში მოყვა და დაიღუპა.

ავტოსაგზაო შემთხვევა კვირას მოხდა. წინა დღით დომინიკ სემვოგერერემ ჟოზეფინა ნამუჯუზე იქორწინა. მათ მეორე დღეს მირთმეული საჩუქრები მოაგროვეს და სახლში გაემგზავრნენ. პატარძალი და მისი მეგობარი მანქანით მგზავრობდნენ, ხოლო სიძე მათ მოტოციკლით უკან მიჰყვებოდათ.

მამაკაცმა მოტოციკლის მართვა მას შემდეგ დაკარგა, როდესაც გზის დაზიანებულ მონაკვეთზე აღმოჩნდა. ამის შედეგად ის მოძრაობის საპირისპირო მხარეს გადავიდა და შემხვედრი მიმართულებით მოძრავი მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. ის დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მიღებული დაზიანებებისგან გარდაიცვალა.

პითონმა მოზრდილი ხბო მთლიანად გადაყლაპა და მუცელზე გასკდა

ტაილანდის პროვინცია პხიტსანულოკში პითონმა მთლიანად გადაყლაპა ხბო, მაგრამ მისი მონელება ვეღარ შეძლო და კუჭის გახეთქვამ იმსხვერპლა.

ფერმერი სამი დღის წინ დაკარგულ საქონელს ეძებდა. ის გაოგნებული დარჩა, როდესაც დასისხლიანებული ხბოს გვამს და ოთხმეტრიან ვეფხვისებურ პითონს გადააწყდა. ამ ყოველივეს ამსახველ ვიდეოჩანაწერში ჩანს მაღალ ბალახებში დაგდებული მკვდარი ქვეწარმავალი. მას მუცელი გადახსნილი ჰქონდა მეტისმეტად დიდი ნადავლის გადაყლაპვის გამო.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლის ნირუნ ლივატანაკულის თქმით, მშიერმა პითონმა ხბო დაიჭირა, გაგუდა და შემდეგ მთლიანად გადაყლაპა.

– მას შემდეგ, რაც ხბო გველის მუცელში აღმოჩნდა, მისმა სხეულმა გასიება დაიწყო და მისი კუჭი კიდევ უფრო მეტად გაბერა. შედეგად კი მივიღეთ ის, რაც საკუთარი თვალით ვნახეთ, – განმარტა ლივატანაკულიმ.

სამემკვიდრო განცხადება

გარდაიცვალა ვანო რუხაძე, დაბადებული 04.05.1947 წელს. მცხოვრები ქ.გურჯაანის რაიონის სოფ. ახაშენში. სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადება წარდგენილია ნოტარიუს ნუგზარ თვალმიხელაშვილთან მისამართზე: ქ.გურჯაანი, ნონეშვილის №14.

განმცხადებელი
ნიკოლოზ მაჭავარიანი.

განცხადება

ნელი გოთოშიას მემკვიდრეთა საყურადღებოდ!

30.09.1999 წელს გარდაცვლილი ნელი გოთოშიას სამკვიდროს უმკვიდროდ ცნობის პროცესი მიმდინარეობს ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან (ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული).

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს.

დამსვენებელმა პლაჟზე კოკაინი იპოვა

ამერიკის ფლორიდის შტატში სანაპიროზე 30 კილოგრამი კოკაინი გამოირიყა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

საეჭვო შეკვრა ქალაქ მარათონის რაიონში პლაჟზე დამსვენებელმა შენიშნა. ის დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ადგილობრივ ხელისუფლებას და მომხდარის შესახებ აცნობა.

შემთხვევის ადგილზე სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლები გამოცხადდნენ. შეკვრის შიგთავსის შემოწმების შედეგად მასში ნარკოტიკები აღმოჩნდა, რომლის ღირებულება მილიონ დოლარს შეადგენს.

სავარაუდოდ, კოკაინი კონტრაბანდისტებს გადაუვარდათ, ან გადააგდეს, რომლებიც კარიბის ზღვის აუზიდან ფლორიდაში ნარკოტიკების გადაზიდვით არიან დაკავებულები.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტორპედო გაიყიდა

როგორც ჩანს, ქუთაისის ტორპედო ადგილობრივი მერიის „ჭკუაზე გაიყიდა“. არადა, ბოლო დროს კლუბის სახელი „ნიუ ვიჟენის“ რექტორს, დავით კერესელიძესა და „ალიანს ჯგუფ ჰოლდინგის“ პრეზიდენტს, აიეტ კუკავას დაუკავშირდა. თუმცა, მეორე აუქციონის გამოცხადების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ „ალიანს ჯგუფი“ ტორპედოს შეძენით დაინტერესებული აღარ არის.

აი, რა წერია განცხადებაში:

– ჩვენ არაერთხელ განვაცხადეთ, რომ არსებული პირობებით ქუთაისის ტორპედოს აუქციონში მონაწილეობას არ მივიღებდით. ბიზნესის მხრიდან პირველი აუქციონის აბსოლუტურმა იგნორირებამ და შედეგად აუქციონის ჩაშლამ კლუბის ამჟამინდელი მეპატრონე – ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ვერ მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ინტერესის გასაჩენად საჭირო იყო პირობების შეცვლა და ბიზნესის მოთხოვნა-საჭიროებებზე მორგება.

გამოცხადდა ახალი აუქციონი პრაქტიკულად იმავე პირობებით, თუმცა გასხვისების ვადამ გადაიწია 15 სექტემბრამდე, რაც კლუბისთვის ასევე დამაზარალებელია.

შესაბამისად, გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არც ამჯერად მივიღებთ მონაწილეობას ამ აუქციონში. მეტიც, ქუთაისის ტორპედოს ინტერესებიდან გამომდინარე, საერთოდ გამოვერთვებით პრივატიზების პროცესს. ვინაიდან კლუბის გადარჩენისთვის თითოეული დღე ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი გასვლა ქუთაისის მერიას მისცემს საშუალებას, ყოველგვარი აუქციონის გარეშე, უმოკლეს ვადებში, პირდაპირ გადასცეს კლუბი მსურველ კომპანიას. წარმატებებს ვუსურვებთ ტორპედოს და მის მომავალ ახალ მეპატრონეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ტორპედო აუქციონზე 577.017 ლარად გაიყიდა და გუნდის ახალი მფლობელი დავით კერესელიძე გახდა.

გიორგი მიქაუტაძე სერენში დაბრუნდა

ფრანგული მეცის 20 წლის ქართველი თავდამსხმელი გიორგი მიქაუტაძე კლუბმა ისევ იჯარით გაუშვა და ისევ ბელგიურ სერენში.

მიქაუტაძე გასულ სეზონში სერენს ბელგიის ა დივიზიონში დაბრუნებაში ძალიან დაეხმარა. ჩვენებურმა 19 გოლი რეგულარულ სეზონში გაიტანა, ხოლო სამიც ფლეი ოფში დაამატა.

კლუბში გახარებული არიან, რომ მიქაუტაძე ისევ დაიბრუნეს და მისი ძალიან ეიმედებათ. ეს კარგად იგრძნობა სერენის განცხადებაში:

– რამდენიმე დღის წინ უამრავი გამოცემის მიერ დაანონსებული გიორგი მიქაუტაძის დაბრუნება შედგა!

ჩვენი გუნდის მაისურით გასულ სეზონში 22 გოლის გამტანი ჟორჟი გვიბრუნდება, რათა უკვე ბელგიის ელიტარულ დივიზიონში ჩვენს ფერებში ახალი თავგადასავლები გამოსცადოს.

მიქაუტაძე ამჟამად საქართველოს ეროვნულ გუნდშია და მაშინ შემოგვიერთდება, როგორც კი სანაკრებო პაუზა დასრულდება.

კეთილი იყოს შენი დაბრუნება, მისტერ ჟორჟ!

სერენი 6 ტურის შემდეგ ბელგიის ჟუპილერ ლიგაში 9 ქულით მე-9 ადგილზეა; ის 12 სექტემბერს, მე-7 ტურში, სტანდარდს უმასპინძლებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კაზემირო: „თუ რეალში თამაში გსურს, ძალიან ბევრი უნდა იშრომო“

ბრაზილიელმა კაზემირომ კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით მედიასთან ინტერვიუში ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა.

კაზემირო:

– დიდი ბედნიერება და სიხარულის განცდა მეუფლება, როდესაც ვხვდები, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბთან კიდევ რამდენიმეწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. აქ არასდროს იცვლება მიდგომები, შემართება და მოტივაცია. გუნდი მუდმივად მაქსიმალური შედეგებისთვის იბრძვის. ილუზია იგივე რჩება, მე მზად ვარ, თანაგუნდელებთან ერთად მომდევნო წლების მანძილზე ძალიან ბევრი ვიბრძოლო და წარმატებას მივაღწიო. მადრიდულ გრანდში თამაში ყოველთვის დიდი პატივი და ამასთანავე პასუხისმგებლობაა. მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო დედას და სხვა ოჯახის წევრებს. ისინი ყოველთვის გვერდში მედგნენ. არასდროს უნდა დაივიწყო საიდან მოდიხარ და ვინ შეიტანა დიდი წვლილი შენს განვითარებაში. დიახ, ახლა „ბლანკოსის“ უცვლელი წევრი ვარ, მაგრამ პირველი ნაბიჯები კასტილიაში გადავდგი. აქ მოხვედრა მარტივი არ იყო.

სწორედ იმიტომ ვარ აქ, რომ მხოლოდ ტკბობას არ ვაპირებდი. ჩემთვის შრომა და ბევრი მუშაობა მუდმივად თანმდევი იყო. როდესაც რეალის სტანდარტის დაკმაყოფილება გსურს, ბევრი უნდა იმუშაო და არასდროს მოეშვა. კონკურენცია დიდია, თუ წარმატების მიღწევა გსურს, მუდმივი მუშაობა გმართებს.

არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი მახსენდება, მაგრამ პირადად ჩემთვის გარდამტეხი დორტმუნდთან გამართული დაპირისპირება გახლდათ, იქ ბევრი რამ შეიცვალა და ჩემს მიმართ ნდობის მანდატიც გაიზარდა. ვფიქრობ, რომ ყველა თამაში მნიშვნელოვანია და ასე იქნება მომავალშიც.

უნდა ისიამოვნო ვარჯიშით და შემდეგ მოედანზე გასვლით. როდესაც რეალის ღირსებას იცავ, ამ გუნდის ისტორია და ღირებულებები მთლიანად უნდა გქონდეთ გათავისებული, სხვაგვარად წარმატებული ფიგურა ვერ იქნები. არ აქვს მნიშვნელობა მოედანზე 10 წუთს ატარებ, თუ 90-ს. მთავარია ყოველთვის ეფექტურად ითამაშო და გუნდს ერთგულება დაუმტკიცო, სწორედ ამაში დევს წარმატების გასაღები.

ანჩელოტისგან ბევრი რამის სწავლას ვგეგმავ. იტალიელი არნახულ გამოცდილებას ფლობს. უკვე 20 წელიწადია იტალიელი მსოფლიო დონის გრანდებს წვრთნის. ვფიქრობ, კარლოს ეპოქა წარმატებული იქნება და ჩვენ ამისთვის ყველაფერს ვიღონებთ.

გულშემატკივრების მოედანზე დაბრუნება ძალიან სასიამოვნო იქნება. ჩვენ რეკონსტრუქციას ვუკეთებთ მსოფლიოს საუკეთესო სტადიონს. ვფიქრობ, რომ 2022 წლის შემდეგ „ბერნაბეუ არენაზე“ გასვლა კიდევ უფრო ამაღელვებელი იქნება. გულშემატკივრებთან ერთად ბევრად ძლიერები ვართ, ამიტომ მათი ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

ვილი სანიოლის გუნდი კოსოვოს მატჩისთვის მზადებას ბათუმში გააგრძელებს

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა სექტემბრის მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით, ქართველმა ფეხბურთელებმა 2 დღეს ფოთის „ფაზისის“ სტადიონზე ივარჯიშეს, ხოლო დღეს უკვე ბათუმის ახალ არენაზე მატჩისწინა, ბოლო ვარჯიშს გამართავენ

პირველ დღეს საწვრთნელ პროცესში 17 ფეხბურთელი მონაწილეობდა. ეროვნული ნაკრების ლეგიონერები – გურამ კაშია, დავით ხოჭოლავა, გურამ გიორბელიძე, გიორგი აბურჯანია, ჯაბა კანკავა, გიორგი ჩაკვეტაძე, ოთარ კიტეიშვილი, გიორგი მიქაუტაძე ნაკრებს გუშინ დაემატნენ.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც გუნდს დღეს შეუერთდება, სამხრეთკორეული ულსან ჰიუნდაის ფეხბურთელი ვაკო ყაზაიშვილია. სავარაუდოდ, ყაზაიშვილი კოსოვოსთან არ იქნება.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ);

: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), გურამ გიორბელიძე (დინამო დრ, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე დინამო ბთ), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), საბა ხვადაგიანი (დინამო თბ);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი) გიორგი აბურჯანია (ჟილ ვისენტე, პორტუგალია), საბა ლობჟანიძე (ჰატაისპორი, თურქეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ულსან ჰიუნდაი, ს.კორეა), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური, ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი, გიორგი ზარია (ყველა დინამო ბთ), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), მურთაზ დაუშვილი (აპოელი, კვიპროსი);

თავდამსხმელები: გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი).

ტერორისტი სპორტსმენი პარალიმპიურ თამაშებზე

ტოკიოს პარალიმპიურ თამაშებზე მონაწილეობდა პარამოცურავე, რომელიც ტერორიზმის ბრალდებით იყო დაკავებული. 64 წლის სებასტიან როდრიგეს ველოზო 25 წლის ასაკში, ესპანეთში დააპატიმრეს და 84 წელი მიუსაჯეს.

თავად პარასპორტსმენს წარსულზე ლაპარაკი არ უყვარს. გავრცელებული ინფორმაციით კი, სებასტიანი დაჯგუფება „პირველი ოქტომბრის პატრიოტული ანტიფაშისტური წინააღმდეგობის“ წევრი გახლდათ.

როდრიგესი ესპანეთის ქალაქ კადისში დაიბადა და 1980 წელს „გრაპოს“ შეუერთდა. დაჯგუფება 1975 წელს ჩამოყალიბდა და 10 წლის განმავლობაში ესპანეთის ტეროტორიაზე ტერორისტულ აქტებს ახორციელებდა, რასაც 80-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

სებასტიან როდრიგეს ველოზო 1985 წელს დააკავეს, მას სევილიაში წიგნების მაღაზიაში ბიზნესმენ რაფაელ პადურას მკვლელობა ედებოდა ბრალად.

1990 წელს შიმშილობა დაიწყო, რომელიც 432 დღე გაგრძელდა. საბოლოო ჯამში, როდრიგესს ჯანმრთელობა დაუზიანდა და იძულებული გახდა, შშმ პირების ეტლით გადაადგილებულიყო.

1994 წელს ველოზო ციხიდან გაათავისუფლეს. ესპანეთის მთავრობამ ციხიდან ყველა მძიმე ავადმყოფი შეიწყალა. მას შემდეგ სებასტიანი კალათბურთით და ცურვით დაინტერესდა.

2000 წლის სიდნეის პარალიმპიურ თამაშებზე მან 5 ოქროს მედალი მოიპოვა და 4 პარალიმპიური რეკორდი დაამყარა.

წლევანდელ თამაშებზე კი, მან 200 მეტრ დისტანციაზე მე-8 ადგილი დაიკავა, ხოლო 50 მეტრ გუნდურ ჩათვლაში მე-5-ზე გავიდა.

საქართველომ მსოფლიოსთვის მეტოქეები გაარკვია

31 აგვისტოს, შვეიცარიის დაბა მიესში მდებარე ფიბა-ს ოფისში, მსოფლიოს 2023 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა.

„ბებერი კონტინენტის“ 32 გუნდი 8 კალათაში განაწილდა, რომლის შედეგად საქართველო ჯ ჯგუფში ესპანეთთან, უკრაინასთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან ერთად მოხვდა.

ფორმატის თანახმად, ჯგუფებში თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და სტუმრად), რის შემდეგაც, თითოეულიდან 3 საუკეთესო მეორე ეტაპზე გააღწევს.

საქართველოს ნაკრების პირველი ეტაპის კალენდარი ასეთია:

2021 წელი

26 ნოემბერი: საქართველო-უკრაინა;

29 ნოემბერი: ესპანეთი-საქართველო;

2022 წელი

24 თებერვალი: საქართველო-ჩრ.მაკედონია;

27 თებერვალი: ჩრ.მაკედონია-საქართველო

1 ივლისი: უკრაინა-საქართველო;

4 ივლისი: საქართველო-ესპანეთი

მეორე ჯგუფურ ეტაპზე ჯ ჯგუფის სამეული ჰ ჯგუფის სამეულს შეუწყვილდება. აქვე გეტყვით, რომ ჰ ჯგუფში იტალია, რუსეთი, ნიდერლანდები და ისლანდია მოხვდნენ.

ახალ ჯგუფებში მანამდე ერთ ჯგუფში მყოფი გუნდები ერთმანეთში არ ითამაშებენ, მაგრამ ჯგუფში ნაჩვენები შედეგები გადაჰყვებათ. შესაბამისად, თითოეულ გუნდს სხვა ჯგუფის 3 წარმომადგენელთან მოუწევს 2-2 მატჩის (შინ და სტუმრად) გამართვა. საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს თითო ჯგუფის 3 საუკეთესო გუნდი (ჯამში 12) მოიპოვებს.

თამაშები გაიმართება ფიბა-ს მიერ დადგენილი ფანჯრების პერიოდში. როგორც პირველ, ისე მეორე ჯგუფურ ეტაპზე გამოყოფილია 3-3 ფანჯარა.

წილისყრის სრული შედეგები ასე გამოიყურება:

ა ჯგუფი: სერბეთი, ბელგია, ლატვია, სლოვაკეთი;

ბ ჯგუფი: საბერძნეთი, თურქეთი, ბრიტანეთი, ბელარუსი;

ც ჯგუფი: სლოვენია, ხორვატია, ფინეთი, შვედეთი;

დ ჯგუფი: გერმანია, პოლონეთი, ესტონეთი, ისრაელი;

ე ჯგუფი: საფრანგეთი, უნგრეთი, პორტუგალია, ჩერნოგორია;

ფ ჯგუფი: ლიეტუვა, ჩეხეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი;

ჯ ჯგუფი: ესპანეთი, უკრაინა, საქართველო, ჩრდილოეთ მაკედონია;

ჰ ჯგუფი: იტალია, რუსეთი, ნიდერლანდები, ისლანდია.

პირველი ეტაპი

პირველი ფანჯარა: 2021 წლის 22-30 ნოემბერი;

მე-2 ფანჯარა: 2022 წლის 21 თებერვალი-1 მარტი;

მე-3 ფანჯარა: 2022 წლის 27 ივნისი-5 ივლისი.

მეოხე ეტაპი

მე-4 ფანჯარა: 2022 წლის 22-30 აგვისტო;

მე-5 ფანჯარა: 2022 წლის 7-15 ნოემბერი;

მე-6 ფანჯარა: 2023 წლის 20-28 თებერვალი.

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი 2023 წლის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით სამ ქვეყანაში – იაპონიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში ჩატარდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ანასტასია გუბანოვა საქართველოს სახელით გამოვა



საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაციის ცნობით, რუსი მოციგურავე ანასტასია გუბანოვა ამიერიდან საქართველოს ღირსებას დაიცავს. 18 წლის სპორტსმენი საქართველოს სახელით ქალთა ერთეულთა თანრიგში გამოვა.

საქართველოს ფიგურული სრიალის ფედერაცია სოციალურ ქსელში ასეთ განცხადებას აქვეყნებს:

– ანასტასია გუბანოვა საქართველოს გუნდის ახალი წევრია! ანასტასია 2018 წლის ზაგრების „გოლდენ სპინის“ საერთაშორისო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და 2016 წლის ახალგაზრდათა გრან პრის ვიცე-ჩემპიონია. ანასტასია გუბანოვა საქართველოს გოგონების კატეგორიაში წარადგენს. მალე შეიტყობთ, სად ვიხილავთ პირველად ანასტასიას ახალ პროგრამებს ამ სეზონისთვის.

ანასტასია გუბანოვა 2018 წლამდე სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა და ვარჯიშობდა. 2018-19 წლების სეზონში კი, მოსკოვში, ელენა ბუიანოვასთან ემზადებოდა. 2019 წლის ზაფხულიდან კვლავ სანკტ-პეტერბურგში დაბრუნდა და ვარჯიში ევგენი რუკავიცინის ჯგუფში გააგრძელა.

გუბანოვამ რუსეთის ჩემპიონატში 4-ჯერ იასპარეზა, საუკეთესო შედეგი კი მე-6 ადგილი ჰქონდა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 2. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 3. ძაფზე ასხმული სამკაული; 4. გუთნის ძველი ქართული სახელწოდება; 5. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული მოსასვენებელი ნაგებობა პარკებში; 10. ხრტილების ანთება; 11. წმინდანად შენაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 12. დამუშავებული გეგმა; 15. იტალიური საკონდიტრო; 16. ეგვიპტის ფარაონი; 17. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ დამფუძნებელი; 20. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა.

თარაზულად: 6. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 7. ჭაობში მზარდი მწერიჭამია მცენარე; 8. ნიდერლანდელი ფილოსოფოსი; 9. ზღვის ყაჩაღი; 13. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 14. ამერიკული ჯიპი; 18. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 19. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 21. მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 22. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. მძიმე ტვირთების გადასაზიდი მისაბმელიანი ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩილე; 2. ივერი; 3. აპაში; 5. ფესახი; 6. საბოტაჟი; 9. გამყრელიძე; 10. ლუფტჰანზა; 11. კაბადოკია; 14. ემუ; 16. ეკლერი; 18. პერო.

თარაზულად: 1. ჩითილი; 4. რეფლექსი; 7. ლეჟავა; 8. შუშპარი; 12. ამადუ; 13. დელისი; 15. სტატია; 17. ილი; 19. საკანდელიძე; 20. სელტა; 21. როზეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დინდგელი; 2. ამბიცია; 3. კლოპი; 4. ბეითალი; 5. ჭორვილა; 10. გენეტიკა; 11. დენონსაცია; 12. ალუმინი; 15. სეიდებადი; 16. ტაიმსი; 17. გლისადა; 20. სარკე.

თარაზულად: 6. ქინძმარაული; 7. ყეენობა; 8. ჭრიჭინა; 9. ვერსია; 13. შალე; 14. ნეპალი; 18. სერვილადი; 19. ბლუზი; 21. მახტა; 22. ფიქცია; 23. ბანკომატი; 24. სტინგერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1107

ევრო — 3.6806

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2841

100 რუსული რუბლი — 4.2451

ამინდის პროგნოზი 1 სექტემბრისათვის

ჯესი ლინგარდი მანჩესტერ იუნაიტედში რჩება

ჯესი ლინგარდი ვესტჰემში ერთწლიანი იჯარის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნდა და ის გუნდის დატოვებას აღარ აპირებს.

ლინგარდი იუნაიტედთან ახალ 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ლინგარდის თავის რიგებში ხილვა რამდენიმე გუნდს სურდა, მაგრამ მან იუნაიტედში დაბრუნება გადაწყვიტა. სოლსკიაერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ლინგარდზე დიდ იმედებს ამყარებს.

მბაპე რეალში წელს არ გადავა

კილიან მბაპე წელს პსჟ-ში დარჩება, რადგან პარიზულმა გუნდმა მის გაყიდვაზე უარი თქვა. პსჟ-მ რეალს 170 მილიონზე უარი უთხრა და შესაძლოა კილიანი მომავალ წელს რეალს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდეს. ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ მბაპე პსჟ-ში დარჩეს და გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს, თუმცა თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მას პსჟ-ს დატოვება სურს.

ბარსელონას კავანის ყიდვა სურდა

ბარსელონას ედისონ კავანის ყიდვა სურდა და ისინი შეთანხმებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ ბოლო მომენტში იუნაიტედმა გადაიფიქრა და კავანი მანჩესტერში დარჩება. კავანიმ განაცხადა, რომ ის ინგლისში ბედნიერია, მაგრამ ახალ გამოწვევაზეც უარს არ იტყოდა.

ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კავანის შეძენა სხვა ინგლისურ კლუბებსაც სურდათ, მაგრამ თვითონ ურუგვაელმა ეს ვარიანტი დაბლოკა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლეოპარდის მაჩვზღარბასთან დაპირისპირება მტაცებლის დამარცხებით დამთავრდა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ლეოპარდი თავს დაესხა მაჩვზღარბას და მარცხი განიცადა.

57 წლის ფოტოგრაფი მარიეტა ლენდმენი ქალაქ ჯორჯიდან, დასვენების დღეებში სტუმრობდა ეროვნულ პარკს, სადაც ლეოპარდის და მაჩვზღარბას დაპირისპირების თვითმხილველი გახდა, რომელიც 90 წუთს გრძელდებოდა. ქალის თქმით, აქამდე მას მსგავსი არაფერი უნახავს.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ უთვალთვალებს მტაცებელი ცხოველი ეკლებიან მღრღნელს, შემდეგ კი თავს ესხმის. მათი ორთაბრძოლა საათნახევარს გაგრძელდა მცირე შესვენებებით. ლეოპარდს რამდენჯერმე მოუხდა შეჩერება, რათა თათებიდან ეკლები მოეშორებინა. მამაცი მაჩვზღარბა უკან დახევას არ აპირებდა, ის ერთ ადგილას იდგა და თითქოს ამით ლეოპარდის გაღიზიანებას ცდილობდა.

საბოლოოდ ლეოპარდმა დამარცხება აღიარა და იქაურობას ხახამშრალი გაეცალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 სექტემბრისათვის

ვერძი — დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი კონტაქტი თქვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება. საღამოს ახლო მეგობართან ურთიერთობა გაგიმწვავდებათ. **კურო** — მშვიდი დღეა. სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. გარშემომყოფები თქვენთვის კეთილ სიტყვას არ დაიშურებენ. **ტყუპები** — სუფთა ჰაერზე აქტიური დასვენება, ფიზიკური ვარჯიში გარგებთ. ახლობლებს მეტი სინაზით მოეპყარით. **კირჩხიბი** — გრძნობებსა და ქმედებებს შორის ბალანსი აღდგება. უარყოფითი ემოციებისაგან მშვენიერებასთან შეხება გაგათავისუფლებთ. **ლომი** — გაერთეთ, დაისვენეთ, შემოქმედებითი საქმიანობით დაკავდით. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ქალწული** — საოჯახო საქმეები მოაგვარეთ. კარგი პერიოდია რემონტის დასაწყებად. **სასწორი** — ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. **ღრიანკალი** — ბევრ საქმეს ერთად ნუ შეეჭიდებით. ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. **მშვილდოსანი** — პირად ცხოვრებაში წარმატება გელით. იზრდება სასიცოცხლო და სექსუალური პოტენციალი. **თხის რქა** — საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა. ნავაჭრით ძალზე კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** — პროვოკაციებს არ წამოეგოთ. ფრთხილად იყავით საქმიანი ურთიერთობებისას. **თევზები** — მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კაცი ქალს ეკითხება:
– ოც ლარად მომცემ?
– ოც ლარად პენსიონერი მოგცემს, ისიც მხოლოდ ხმას.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– რაში ჩაიჭრა ჩვენი ქალაქის მერი, რომ ჯაშუშობაში დაადანაშაულეს?
– ქრთამს არ იღებდა, სამსახურში ფეხით დადიოდა და საყვარელიც კი არ ჰყავდა.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– ძვირფასო, შენ მსოფლიოში ყველაზე ჭკვიანი, მშვიდი და თავშეკავებული ადამიანი ხარ.
– რა, ისევ მანქანა დაამტვრიე?

●●●

მდივანი უფროსს ეუბნება:
– ბატონო დირექტორო, წერილი მოვიდა საჰარაში ჩვენი ფილიალიდან. გვწერენ, რომ იქ, მათთან წყლის საქმე ძალიან ცუდადაა, კატასტროფულიც კი.
– რა სისულელეა, ისინი ყოველთვის რაიმეს იგონებენ.
– მაგას ვერ ვიტყოდი, აი ნახეთ, კონვერტზე მარკა სარჭითაა მიმაგრებული.

●●●

ექიმი პაციენტის ანალიზებს ჩასცქერის და ხმას არ იღებს. ბოლოს აღელვებული პაციენტი ვეღარ მოითმენს და ეკითხება:
– აბა, ექიმო, რას მეტყვით, რითი დამამშვიდებთ?
– შეგიძლიათ ბანკიდან კრედიტით დიდი თანხა გამოიტანოთ.
– კი მაგრამ, ექიმო, მე ხომ არანაირი შემოსავალი არ გამაჩნია და როგორ უნდა გავისტუმრე სესხი?
– მაგაზე ნუ ინერვიულებთ, ვალის გადახდა თქვენ არ მოგიწევთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქეთი მელუას ევროპის კულტურის ჯილდო მიენიჭა

ბრიტანეთში მცხოვრებ ქართველ მომღერალს ქეთი მელუას ევროპის კულტურის ჯილდო მიენიჭა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გერმანიაში, ბონის ოპერის თეატრში გაიმართა. ქეთი მელუამ დაჯილდოებაზე ქართველი დიზაინერის ანუკი არეშიძის კაბა მოირგო.

ქართველ მომღერალთან ერთად ევროპის კულტურის ჯილდოს მფლობელები გახდნენ ლეგენდარული როკ ჯგუფი „სკორპიონსი“, მევიოლინე დევიდ გარეტი, სოპრანო დიანა დამრაუ, მესაყვირე ტილ ბრენერი, ბონის ორკესტრი და მისი დირიჟორი.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სამშობლოში გამართული საზეიმო ღონისძიება კომპოზიტორის 250 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ევროპის კულტურის ჯილდო ყოველ წელს გადაეცემა კულტურის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულ ხელოვანს. პრემიას დრეზდენში არსებული ევროპის კულტურის ფორუმი გასცემს. დაჯილდოება ყოველ წელს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში იმართება.

პოეტი ზურა სამადაშვილი გარდაიცვალა

66 წლის ასაკში პოეტი და პროზაიკოსი ზურა სამადაშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია პოეტმა თემო ჭახნაკიამ გაავრცელა:

– ეჰ, ასეც ხდება. ზურა სამადაშვილი გარდაცვლილა 66 წლის ასაკში.

ვიცოდი, რომ წერდა და სულ მინდოდა რაიმე წამეკითხა, შემერჩია. რამდენიმე თვის წინ დავმეგობრდით სოციალურ ქსელში. თუ მის მიერ აქაური პოსტების მოწონებებს გავითვალისწინებთ, აქტიური მკითხველი იყო.

ახლა ვნახე მისი სრული ბიოგრაფია, თურმე ლექსებიც ჰქონია, მოთხრობებთან და პიესებთან ერთად. გამოცემულია მისი 10 პროზაული და პოეტური კრებული. საბასა და საგურამოს პრემიების ლაურეატი. ხსოვნა იყოს!

იტალიის კინოფესტივალზე ქართულმა ფილმმა 2 ჯილდო დაიმსახურა

იტალიაში, საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე რეჟისორ უტა ბერიას ფილმმა „უარყოფითი რიცხვები“ 2 მთავარი ჯილდო მოიპოვა: საუკეთესო ფილმი და საუკეთესო რეჟისორი — უტა ბერია.

ფილმი, რომლის სცენარიც რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული, არასრულწლოვან ვაჟთა კოლონიის მძიმე რეალობას ასახავს. არასრულწლოვან ვაჟთა კოლონიაში რაგბის ვარჯიშები ინიშნება და პატიმრებში როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური გამოჯანსაღება იწყება. ფილმის მთავარ გმირს, ნიკას, მოუწევს არჩევანი გააკეთოს მოპოვებულ ავტორიტეტსა და შინაგან თავისუფლებას შორის.

ფილმში მთავარ როლს სანდრო კალანდაძე ასრულებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

უძველესი ვაზა, რომელიც მუშის ოჯახში ინახებოდა, აუქციონზე სოლიდურ თანხად გაიყიდა

უძველესი ვაზა, რომელიც 40 წელი უბრალო ლონდონელი მუშის ოჯახში ინახებოდა, აუქციონზე 520 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.

1980-იანი წლების დასაწყისში ვაზის მფლობელის მამა დემონტაჟიერად მუშაობდა. ერთ-ერთმა კლინტმა მისი სამსახურის ანაზღაურება ვეღარ შეძლო და ფულის მაგივრად ორი ნეფრიტის ბუდა და დაახლოებით 30 სანტიმეტრის სიმაღლის ფაიფურის ვაზა შესთავაზა. ის ამ წინადადებაზე დათანხმდა და ნივთები სახლში მიიტანა. არც თავად მას და არც მის შვილს, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ ეს ნივთები მემკვიდრეობით გადაეცა, თავში აზრად არ მოსვლიათ, ფასეული ნივთები თუ ინახებოდა მათ ოჯახში.

არც ისე დიდი ხნის წინ, მისმა მფლობელმა მისი გასაყიდად გამოტანა გადაწყვიტა და ექსპერტს აჩვენა. აღმოჩნდა, რომ ვაზა დაახლოებით სამი ასწლეულის წინ ჩინეთის იმპერატორ ციანილუნისთვის იყო დამზადებული, რომელიც ქვეყანას 1736-დან 1795 წლის ჩათვლით მართავდა. სავარაუდოდ სასახლიდან აღნიშნული ვაზა იხეტუანის აჯანყების დროს გაიტაცეს. ვაზა კარგად იყო შენახული და ის 15 ათას ფუნტ სტერლინგად იქნა შეფასებული.

აღნიშნული ლოტისთვის ვაჭრობა აუქციონის შვიდ მონაწილეს შორის გაიმართა. საბოლოოდ გაიმარჯვა ანონიმმა ჩინელმა მყიდველმა, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა თავდაპირველ ფასზე 36-ჯერ მაღალი ფასი გადაეხადა. საბოლოოდ დამატებითი შესატანის დამატებით ჩინელს ვაზაში 550 ათასი ფუნტი სტერლინგი ექნება გადასახდელი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 14. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 16. ქართული ნაციონალური კერძი; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 4. ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 7. გამცემლობა, ვერაგობა; 8. ბერძნული ცეკვა; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 15. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. სამჭედლო იარაღი; 19. ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 20. იაპონური აბანო; 21. საავტომობილო ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა